

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს  
გადაწყვეტილება № 357

(ოქმი № 335)

თბილისი

2016 წლის 27 დეკემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის მე-2 ტურში გასასვლელი კანდიდატების ვინაობის გამოვლენის მიზნით კონკურსის პირველი ტურის ფარული კენჭისყრის და მე-2 ტურის ვადების დანიშვნის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, "სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" განცხადების [სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 28.11.2016წ. №353 (ოქმი №332) გადაწყვეტილება] და კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციის [სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 12.09.2013წ. №263 (ოქმი №256) გადაწყვეტილება; შეტანილია ცვლილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 06.12.2016წ. №354 (ოქმი №333) გადაწყვეტილებით] თანახმად,

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა სია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს 2016 წლის 31 დეკემბერს. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატთა სიასთან ერთად გამოქვეყნდეს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილი CV (პერსონალური მონაცემების დაცვით) და სამოტივაციო წერილი.
2. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის (შემდგომში - "კონკურსი") მე-2 ტურში გასასვლელი კანდიდატების ვინაობის გამოვლენის მიზნით, კონკურსის პირველი ტურის ფარული კენჭისყრა ჩატარდეს და შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს სხდომა გაიმართოს 2017 წლის 3 იანვარს.
3. კონკურსის მე-2 ტურის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
  - ა) კონკურსის მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდეს 2017 წლის 4 იანვარს და 2017 წლის 5 იანვარს.
  - ბ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოსავლენად სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდეს 2017 წლის 6 იანვარს.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ირინა ფუტყარაძე

სულხან სალაძე

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა